დინამოელთა მატჩი

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი საწვრთნელ შეკრებას გადის გაგრაში.

10 მარტს დინამოელებმა თავიანთი პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს დნეპროპეტროვსკის “ავანგარდთან”. თამაში შედგა ლესელიძეში.

პირველ ტაიმში ბარქაიამ და იამანიძემ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში. შესვენების შემდეგ “ავანგარდმა” გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ შემდგომში ბარქაიამ კიდევ ერთი ბურთის გატანა შეძლო და მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით – 3:1.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა; გ. სიჭინავა, ხუნდაძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, ჟორდანია.

2 მარტი, 1961 წ.